

BIOLOGICAL SERIES

784-8

1993



ISSN - 0321-1665

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИИ
PROCEEDINGS OF THE GEORGIAN ACADEMY
OF SCIENCES

ბიოლოგიის

სერია

СЕРИЯ

БИОЛОГИЧЕСКАЯ

1993 N5-6

19

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე
ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИИ

ბიოლოგიის სერია
СЕРИЯ БИОЛОГИЧЕСКАЯ

ტომი 19, № 5-6
Том

ჟურნალი დაარსებულია 1975 წლის იანვარში
Журнал основан в январе 1975 года
გამოდის წელიწადში 6-ჯერ
Выходит 6 раз в год

თბილისი ⊗ „მეცნიერება“ ⊗ 1993
ТБИЛИСИ „МЕЦНИЕРЕБА“

სარედაქციო კოლეგია:

მთავარი რედაქტორი **ვ. ოკუჯავა**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **თ. ონიანი**
სწავლული მდივანი **გ. ბექაია**

ლ. გაბუნია, ი. ელიავა, მ. ზალიშვილი, გ. თუმანიშვილი, გ. კვესიტაძე, კ. ნადარეიშვილი,
გ. ნახუცრიშვილი, გ. სანაძე, ბ. ყურაშვილი, თ. ჭანიშვილი, ნ. ჯავახიშვილი

პასუხისმგებელი მდივანი **ს. ლაბაძე**

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:

Главный редактор **В.М.Окуджава**
Зам. главного редактора **Т.Н.Ониани**
Ученый секретарь **Г.А.Бекая**

Л.К.Габуния, Н.А.Джавахишвили, М.М.Заалишвили, Г.И.Квеситадзе,
Б.Э.Курашвили, К.Ш.Надарейшвили, Г.Ш.Нахуцришвили, Г.А.Санадзе,
Г.Д.Туманишвили, Т.Г.Чанишвили, И.Я.Элиава

Ответственный секретарь **С.Р.Лабაдзе**

EDITORIAL BOARD:

Editor-in-Chief **V. O k u j a v a**
Associate Editor **T. O n i a n i**
Editorial Secretary **G. B e k a y a**

T.Chanishvili, I. Eliava, L. Gabunia, N. Javakhishvili, G. Kvesitadze, B. Kurashvili,
K. Nadareishvili, G. Nakhutsrishvili, G. Sanadze, G. Tumanishvili, M. Zaalishvili

Executive Secretary **S. L a b a d z e**

© საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ბიოლოგიის სერია 1993
ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИИ, СЕРИЯ БИОЛОГИЧЕСКАЯ

რედაქციის მისამართი: 380060, თბილისი-60, დ.გამრეკელის ქ. 19, ტელ. 37-86-78
Адрес редакции: 380060, Тбилиси-60, ул. Д.Гамрекели 19 тел. 37-86-78

Сдано в набор 25.08.93. Подписано в печать 8.04.96
Формат бумаги 70 X 108 1/16. Усл. печ. л. 9. Уч.-изд. л. 9.
Макет подготовлен на компьютере. Печать офсетная.
Тираж 150. Зак. № 179.
Цена договорная.

საწარმო-საგამომცემლო გაერთიანება „მეცნიერება“, 380060 თბილისი, დ.გამრეკელის 19
Производственно-издательское объединение "Мециереба", Тбилиси ул. Д.Гамрекели, 19



შინაარსი—СОДЕРЖАНИЕ—CONTENTS

20330

ს.ცაგარელი, ნ.ჯღარკავა. ექსპერიმენტული შედეგების მანქანური დამუშავება ცხოველებში საკვებმოპოვებითი და თავდაცვითი ჩვევების გამომუშავებასა და შენახვის შემთხვევაში 295

S.N.Cagareli, N.Jgarkava. Машинная обработка экспериментальных результатов при формировании и сохранении оборонительных и пищедобывательных навыков у животных

S.Tsagaeli, N.Jgarkava. The Machine Processing of Experimental Results of the Formation and Maintenance of Avoiding and Feeding Habits

ბ.ყიფშიძე, მ.ჯაფარიძე. ვირუსული მიოკარდიტის და დილატაციური კარდიომიოპათიის ურთიერთკავშირის კლინიკურ-მორფოლოგიური მონაცემები 303

Н.Н.Кипшидзе, М.М.Джапаридзе. Клинико-морфологическая взаимосвязь вирусного миокардита и дилатационной кардиомиопатии

N. Kipshidze, M. Japaridze. Clinical-Morphological Correlation Between the Viral Myocarditis and Dilatational Cardiomyopathy

თ.ჩხიკვაძე, ზ.ჭანტურაია, ნ.ზარნაძე. ქსოვილოვანი რეაქციის თავისებურება ახალ ანტიმიკრობულ სინთეზურ საკერ მასალაზე კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ორგანოებში 308

Т.Ф.Чхиквадзе, З.Н.Чантурая, Н.К.Зарнадзе. Особенности тканевой реакции на новый антимикробный шовный материал в органах желудочно-кишечного тракта

T.Chkhikvadze, Z.Chanturaia, N.Zarnadze. Tissue Reaction of Gastro-Intestinal Tract Organs to New Antimicrobial Synthetic Suture Material

გ.გოგიჩაძე, თ.დოლიძე, ა.აბესაძე, ი.ფირიაშვილი, თ.გოგიჩაძე. ორ- და მრავალბირთვიანი უჯრედული წარმონაქმნების არსებობა ლიმფოსარკომებისა და ჰემოლიზური ანემიების დროს 314


Г.Г.Гогичадзе, Ф.Г.Долидзе, А.И.Абесадзе, В.А.Пириашвили, Т.Г.Гогичадзе. Наличие двух- и многоядерных клеточных образований при лимфосаркомах и гемолитических анемиях

G.Gogichadze, T.Dolidze, A.Abesadze, V.Piriashvili, T.Gogichadze. The Availability of Bi- and Multinuclear Cellular Formations in Lymphosarcomas and Hemolytic Anemias

გ.ხატისაშვილი, მ.ყურაშვილი, ი.ჩხიკვიშვილი, მ.გორდესიანი, გ.კვესიტაძე. მონოოქსიგენაზური მექანიზმის პეროქსიდაზურად ტრანსფორმაცია და ფლავონოიდების მიკროსომული ჟანგვა მცენარეში 318

Г.А.Хатисашвили, М.В.Курашвили, И.Д.Чхиквишвили, М.Ш.Гордесияни, Г.И.Квеситадзе. Трансформация монооксигеназного механизма в пероксидазный и микросомальное окисление флавоноидов в растении

G. Khatisashvili, M. Kurashvili, I. Chkhikvishvili, M. Gordesiani, G. Kvesitadze. Transformation of Monoxygenous Mechanism into Peroxidase One and Microsomal Oxidation of Flavonoids in Plant



ზ. ტაბიძე. კუჭის არტერიული და ვენური სისხლის ჰემოკოაგულაციის მაჩვენებლები წყლულოვანი დაავადების დროს 324

З.Ш.Табидзе. Показатели гемокоагуляции артериальной и венозной крови желудка больных язвенной болезнью

Z. Tabidze. Hemocoagulation Indices of Stomach Arterial and Venous Blood in Patients with Ulcers

ბ.ოუჯავა, ა.ლაჭყევიანი, ვ.ოუჯავა, მ.რუხაძე. კარბამაზეპინის ფარმაკოკინეტიკისა და ინტერიქტალური ეეგ-ს ურთიერთკავშირი სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში 330

Н.В.Окуджава, А.Н.Лачкепiani, В.М.Окуджава, М.Д.Рухадзе. Взаимосвязь между фармакокинетикой карбамазепина и интериქтальной ЭЭГ в различных возрастных группах

N.V.Okujava, A.N.Lachkepiani, V.M.Okujava, M.D.Rukhadze. Relationship Between Pharmacokinetics of Carbamazepine and Interictal Electroencephalographic Patterns in Various Age Groups

კ.შალაშვილი, ჯ.ანელი, ა.შტრომბერგი. ბურტყელა სამყურას ანატომიური შესწავლა 336

К.Г.Шалашвили, Дж.Н.Анели, А.Я.Штромберг. Анатомическое исследование клевера пашенного

K. Shalashvili, J. Aneli, A. Shtromberg. Anatomic Study on Trifolium Arvense

მ.ბურთიკაშვილი, ო.სეინიშვილი, ნ.ლექვეიშვილი, ე.ორჯონიკიძე. ღია გრუნტის პირობებში ბოსტნეულ კულტურებზე სათბურის ფრთათეთრას წინააღმდეგ ბესტიციდების გამოცდის შედეგები 340

М.Н.Буртикашвили, О.Н.Сеинишвили, Н.И.Леквеишвили, Э.К.Орджоникидзе. Результаты испытания некоторых инсектицидов против оранжерейной белокрыки в открытом грунте на овощных культурах

M.Burtikashvili, O.Seinishvili, N.Lekveishvili, E.Orjonikidze. Results of Testing of Some Pesticides Against House Whitefly on Vegetables in Open Soil

ი.შატილოვა, ნ.მჭედლიშვილი, ნ.მახარაძე. დასავლეთ საქართველოს ჰავა და მცენარეულობა გვიანკაინოზოურ დროში 344

И. И. Шатилова, Н. Ш. Мchedlishvili, Н. В. Махарадзе. Климат и растительность Западной Грузии в позднем кайнозое

I.Shatilova, N.Mchedlishvili, N.Makharadze. The Late Cenozoic Climate and Vegetation of Western Georgia

თ.ლეყავა, ჯ.მონასელიძე, ე.ლომიძე, გ.მგელაძე, ზ.ჩანჩალაშვილი, თ.ჯოხაძე, ნ.დვალიშვილი, ე.ურუშაძე. ეუქრომატინის კონდენსაციის დონის შესწავლა დიფერენციული გამწვლევი კალორიმეტრის მეთოდით დაბერებისას 353

Т.А.Лежава, Дж.Р.Монаселидзе, Э.Г.Ломидзе, Г.Н.Мгеладзе, З.И.Чанчалашвили, Т.А.Джохадзе, Н.А.Двалишвили, Е.Т.Урушадзе. Изучение уровня конденсации эухроматина методом дифференциальной сканирующей калориметрии в глубокой старости

T.Lezhava, J.Monaselidze, E.Lomidze, G.Mgeladze, Z.Chanchalashvili, T.Jokhadze, N.Dvalishvili, E.Urushadze. Study of Condensed Euchromatin Level in Senile Age by Differential Scanning Calorimetry

თ. აბრამიძე, დ. ძიძიგური, პ. ჭელიძე, გ. თუმანიშვილი. რიბოსომული გენების ტრანსკრიპციის მასტიმულირებელი ახალი ბირთვოკული ფაქტორი 357

Т.Г. Абрамидзе, Д.В. Дзидзигури, П.В. Челидзе, Г.Д. Туманишвили.
Новый ядрышковый фактор, стимулирующий транскрипцию
рибосомальных генов

T.Abramidze, D.Dzidziguri, P.Chelidze, G.Tumanishvili. A New Nucleolar Factor
(RGTF-S), Stimulates R-Genes Transcription in Vitro

ა.უნგიაძე, დ.დავითულიანი. დიაზეპამის შეყვანისა და ვენტრალური ჰიპოკამპის
დაზიანების გავლენა კატების ჰიპოთალამურ თვითგალიზიანებაზე 361

А.А.Унгиадзе, Д.Ш.Давитулиани. Влияние diazepam и повреждения
вентрального гиппокампа на гипоталамическое самораздражение
кошек

A.Ungiadze, D.Davituliani. Influence of Diazepam and Ventral Hippocampus Lesion
on Hypothalamic Self-Stimulation in Cats

გ.ორმოცაძე. ერითროციტთა მოცულობითი განაწილებებისა და წითელი სისხლის
ფუნდამენტური მახასიათებლების დამაკავშირებელი მათემატიკური თანაფარდობა 364

Г.Л.Ормоцадзе. Математическое соотношение, связывающее
распределение эритроцитов по объемам с фундаментальными
величинами, характеризующими систему красной крови

G.Ormotsadze. Mathematical Correlation Between the Erythrocyte Volumetric
Distribution and the Fundamental Values Characterizing the Red Blood System

დ. დავითულიანი, ა. ქორელი. ბოცვრების თვითგალიზიანების ნეიროლექტიკებით
გამოწვეული დეპრესიის სეროტონერგული კონტროლი 368

Д.Ш.Давитулиани, А.Г.Корели. Серотонинергический контроль
депрессии самораздражения, вызванного нейрорептиком у кроликов

D.Davituliani, A.Koreli. Serotonergic Control of the Drug-Induced Depression of Self-
Stimulation in Rabbits

ი.მესხიშვილი. ვარიაციული პულსომეტრიის ზოგეერთი პარამეტრის ცვლილება
ბოცვრების მსუბუქი ფიქსაციის დროს 373

И.И.Месхишвили. Изменение некоторых параметров вариационной
пульсометрии при легкой фиксации у кроликов

I.Meskhisvili. Changes of Some Parameters of Variation Pulsometry in Slightly
Immobilized Rabbits

ვ. ჩაჩიბაია, ა. ბუბნოვი. პოლინოდოზური ტოქსიკური ჩიყვი 378

В.А.Чачибая, А.Н.Бубнов. Полинодозный токсический зоб

V.Chachibaia, A.Bubnov. Polinodoze Toxic Goitre

ბ. ჯანაშია, ვ.ბახუტაშვილი, დ.მიქელაძე. პრეპარატ „პლაფერონიდან“
სიგმააქტიური კომპონენტის გამოყოფა და მისი დაზიანება 383

Н.Н.Джанашиа., В.И.Бахуташвили, Д.Г.Микеладзе. Выделение и
характеристика сигма-активного компонента из препарата
"Плаферон"

N.Janashia, V.Bakhutashvili, D.Mikeladze. Isolation and Characterization of
Sigma-Active Component from Plaferon

ზ. ტაბიძე. პემოკოგულაციური და ფიბრინოლიზური ფერმენტები უბედური
შემთხვევის გამო დაღუპულ ჯანმრთელ პირთა გასტროდუოდენურ
ლორწოვან გარსში 390

3. III. Табидзе. Гемокоагулирующая и фибринолитическая активность гастродуоденальной слизистой оболочки здоровых людей, погибших вследствие несчастных случаев	
Z. Tabidze. Hemocoagulating and Fibrinolytic Activity of Gastroduodenal Mucosa in Healthy People Died in Accidents	
კ.ქიმერიძე, მ.ქიმერიძე. სუბალპური მაღალბალახეულობის ელემენტები თუშეთის ფლორაში	395
К.Р.Кимеридзе, М.К.Кимеридзе. Элементы субальпийского высокотравья во флоре Тушети	
K.Kimeridze, M.Kimeridze. Elements of Subalpine Tall Grasses in Flora of Tusheti	
შ.სიქინავა, ლ.ქურციკაშვილი, ზ.ლომთაძე. მუშლის კომპონენტების ფუნქცია და ბიოლოგიური თავისებურებების ანალიზი საქართველოში	406
Ш.Г.Сичинава, А.С.Курцикашвили, З.Д.Ломтадзе. Анализ фауны и биологических особенностей компонентов гнуса в Грузии	
Sh.Sichinava, A.Kurtsikashvili, Z.Lomtadze. Analysis of Fauna and Biological Peculiarities of Components of Winged Blood-Sucking Insects in Georgia	
რ.გახელაშვილი, დ.თარხნიშვილი. წინასწარი მონაცემები საქართველოს ამფიბიების ასაკობრივი მაჩვენებლების შესახებ	414
Р.К.Гохелашвили, Д.Н.Тархнишвили. Предварительные данные о возрастных показателях амфибий Грузии	
R. Gokhelashvili, D. Tarkhishvili. Preliminary Data on Age Structure of Amphibian Populations from Georgia	
მ.კაპანაძე, ი.გრიკო. ვექტორის კონსტრუირება ადამიანის პანკრეასის პოლიპეპტიდის გამოსაყოფად	424
М.З.Капанадзе, Ю.В.Грико. Конструирование вектора для выделения человеческого панкреатического полипептида	
M. Kapanadze, Yu. Griko. The Vector Construction for the Human Pancreatic Polipeptide Isolation	
დ.ეიკოზაშვილი. კომპრესიული სინჯი როგორც პროგნოზირების მეთოდი ბადურის ლაზერ-კოაგულაციის შედეგიანობისა პოსტთრომბოზული რეთინოპათიის მკურნალობაში	428
Д.А.Кикозашвили. Компрессионная проба как метод прогнозирования результатов лазерного лечения посттромботической ретинопатии	
D. Kikozashvili. The Compressing Test as a Method in the Outcome of Laser Coagulation in the Treatment with Postthrombotic Retinopathy	
თ. ანდრონიკაშვილი. რეცენზია ვ. ოკუჯავასა და ბ. ჭანკვეთაძის მონოგრაფიაზე „ანტიეპილეფსიური მოქმედების პრეპარატების რაოდენობრივი განსაზღვრის ქრომატოგრაფიული მეთოდები ბიოლოგიურ ობიექტებში“	432
Т.Г. Андроникашвили, Рецензия на монографию В.М.Окуджава и Б.Г.Чанкветадзе "Хроматографические методы количественного определения противосудорожных средств в биологических объектах"	
T. Andronikashvili. Book Review Chromatographic Methods for Quantitative Determination of Antiepileptic Drugs in Biological Samples by V. Okujava, B. Chankvetadze.	

МАШИННАЯ ОБРАБОТКА ЭКСПЕРИМЕНТАЛЬНЫХ РЕЗУЛЬТАТОВ ПРИ ФОРМИРОВАНИИ И СОХРАНЕНИИ ОБОРОНИТЕЛЬНЫХ И ПИЩЕДОБЫВАТЕЛЬНЫХ НАВЫКОВ У ЖИВОТНЫХ

С.Н.Цагарели, Н.Н.Джгаркава

Тбилисский государственный университет
им. И.Джавахишвили

Поступила в редакцию 28.05.93

Дается количественная характеристика поведенческих параметров животных, предназначенных для хранения и поиска информации, а также представляется возможность обрабатывать большое количество информации для индивидуальных животных при выработке и сохранении оборонительных и пищедобывательных условных рефлексов. Приведена программа, написанная на языке ФОРТРАН, для решения этих задач на электронно-вычислительной машине.

Применение электронно-вычислительных машин в физиологии высшей нервной деятельности является наиболее эффективным путем контакта между математикой и биологией [1], так как они облегчают, ускоряют и совершенствуют процесс проверки нейрофизиологических гипотез на основе "вычислительного эксперимента".

В работе излагаются результаты применения электронно-вычислительных машин в некоторых нейрофизиологических исследованиях, дается количественная характеристика поведенческих параметров животных, предназначенных для хранения и поиска информации, а также представляется возможность обрабатывать большое количество информации для индивидуальных животных при выработке и сохранении оборонительных и пищедобывательных условных рефлексов. Приведена программа, написанная на языке ФОРТРАН, для решения этих задач на электронно-вычислительной машине БЭСМ-6.

Опыты проведены на половозрелых белых крысах обоего пола весом от 250 до 300 г.

Пищедобывательный условный рефлекс (22 животных) вырабатывался в продолговатом деревянном ящике. К правой половине ящика примыкала камера, в которой между пробками находились подопытные животные. Открывание двери камеры обеспечивало животным свободный доступ к кормушке и являлось условным раздражителем. Кормушка находилась на противоположной стороне стартового отделения. После ряда ориентировочных поисковых движений крыса подходила к

Сохранение оборонительных навыков у животных с двусторонним
 разрушением дорсального гиппокампа

Послеоперационные дни	Индивидуальный номер крысы																															
	К-1						К-2						К-3						К-4						К-5							
	Частота реакций			Латентный период в с			Частота реакций			Латентный период в с			Частота реакций			Латентный период в с			Частота реакций			Латентный период в с			Частота реакций			Латентный период в с				
	У.Р.	Б.Р.	М.Р.	У.Р.	Б.Р.	М.Р.	У.Р.	Б.Р.	М.Р.	У.Р.	Б.Р.	М.Р.	У.Р.	Б.Р.	М.Р.	У.Р.	Б.Р.	М.Р.	У.Р.	Б.Р.	М.Р.	У.Р.	Б.Р.	М.Р.	У.Р.	Б.Р.	М.Р.	У.Р.	Б.Р.	М.Р.	У.Р.	Б.Р.
1	0,9	1	6	3	2	3	1	1	8	3	2	3	0,7	0,9	12	3	2	3	0.	0,8	20	2	2	4	1	1	8	2	2	3		
2	1	1	8	2	2	4	1	1	13	2	2	5	0,8	1	10	3	2	3	0,8	1	9	3	1	3	0,8	1	11	3	3	2		
3	1	1	7	3	2	3	1	1	9	2	2	4	1	1	8	3	2	4	1	1	9	3	2	3	1	1	12	3	2	2		
4	1	1	7	3	2	3	1	1	8	3	2	3	1	1	8	4	2	1	1	1	7	3	2	2	1	1	6	4	2	2		
5	1	1	6	2	2	3	1	1	8	3	2	3	1	1	7	3	2	3	1	1	5	3	2	3	1	1	9	3	2	2		
6	0,9	1	5	2	2	3	0,9	1	5	2	2	3	1	1	6	3	2	4	0,8	1	5	3	2	3	1	1	6	2	2	2		
7	1	1	7	2	2	3	1	1	6	2	2	2	1	1	7	2	2	2	1	1	6	3	2	2	1	1	4	3	3	3		
8	1	1	6	2	2	3	1	1	5	3	2	1	1	1	4	1	2	3	1	1	5	3	3	3	1	1	6	3	2	2		
9	1	1	7	2	2	4	1	1	5	2	2	3	1	1	7	1	2	3	1	1	4	3	2	1	1	1	5	3	2	3		
10	1	1	5	2	2	3	1	1	4	3	2	4	1	1	3	1	2	4	1	1	3	2	2	4	1	1	3	3	2	4		

Обозначения: У.Р. – условная реакция; Б.Р. – безусловная; М.Р. – межсигнальная

кормушке и получала пищу — хлеб, смоченный молоком. Если животное после открытия двери камеры в течение одной минуты не подходило к кормушке, реакцию считали ошибочной и крысу возвращали обратно в стартовое отделение.

Оборонительный рефлекс (13 животных) вырабатывали на основе электрокожного раздражения в специальной камере по методу, описанному нами ранее [2]. В правой половине камеры на высоте 7 см была смонтирована полка, которую в нужный момент можно было опустить и поднять снаружи. Пол камеры сделан из параллельных металлических пластинок, включенных в электрическую сеть. Крысу сажали в экспериментальную камеру, через несколько минут давали раздражитель (свет), который подкреплялся болевым раздражителем — электрическим током с решетки пола. Прыжок на полку избавлял крысу от действия тока; эта реакция в процессе эксперимента быстро закреплялась. Длительность изолированного действия условного сигнала — света — 10 с, время совпадения — 5 с. При анализе результатов рассматривались реакции избегания (прыжок на полку до выключения тока) и реакция избавления (прыжок на полку между пробями).

С целью количественного описания процесса обучения оборонительных навыков для каждого дня опыта оценивалась вероятность осуществления реакции избегания и избавления в виде относительной частоты по формуле:

$$P = \frac{M}{n}, \quad (1)$$

где M — число появлений желаемых реакций, n — общее число произведенных проб. Межсигнальная реакция характеризовалась абсолютной частотой для каждого дня опыта. Эти три реакции в опытах фиксировались со своими латентными периодами. Оборонительное поведение характеризовалось шестью параметрами.

Пищедобывательный условный рефлекс характеризовали двумя параметрами — относительной частотой осуществления реакции и латентным периодом.

После достижения критерия обучаемости, т.е. когда пищедобывательные и оборонительные навыки осуществлялись с вероятностью, равной единице, опыты на некоторое время прекращались, а затем возобновлялись и велось наблюдение за динамикой сохранения выработанных навыков.

В другой серии опытов исследовали влияние билатеральной коагуляции гиппокампа на сохранение и формирование приобретенных навыков.

Для примера приводим одну серию опытов полностью. Другие серии обрабатывались по той же схеме. В табл. 1 даны результаты сохранения оборонительных навыков с двусторонним разрушением дорсального гиппокампа для пяти крыс в отдельности.

Среднее значение параметров оборонительных навыков вычислялось по следующим формулам:

$$V_j^u = \frac{\sum_{K=1}^M L_{jK} V_{jK}^n}{\sum_{K=1}^M L_j}; \quad j = 1, 2, \dots, N \quad (2)$$

$$V_j^B = \frac{\sum_{K=1}^M L_{jK} V_{jK}^B}{\sum_{K=1}^M L_j}; \quad j = 1, 2, \dots, N \quad (3)$$

$$V_j^M = \frac{\sum_{K=1}^M L_{jK} V_{jK}^M}{\sum_{K=1}^M L_j}; \quad j = 1, 2, \dots, N \quad (4)$$

$$P_j^u = \frac{\sum_{K=1}^M L_{jK} P_{jK}}{\sum_{K=1}^M L_j}; \quad j = 1, 2, \dots, N \quad (5)$$

$$P_j^B = \frac{\sum_{K=1}^M L_{jK} P_{jK}^B}{\sum_{K=1}^M L_j}; \quad j = 1, 2, \dots, N \quad (6)$$

$$P_j^M = \frac{\sum_{K=1}^M L_{jK} P_{jK}^M}{\sum_{K=1}^M L_j}; \quad j = 1, 2, \dots, N \quad (7)$$

где V^u – относительная частота реакции избегания; V^B – относительная частота реакции избавления; V^M – абсолютная частота межсигнальной реакции; P^u – латентный период реакции избегания; P^B – латентный период реакции избавления; P^M – латентный период межсигнальной реакции; j – номер для наблюдения; K – индивидуальный номер крысы; L – число наблюдений.

Аналогично происходят вычисления параметров пищедобывательной реакции по формулам (2) и (5).

Экспериментальная информация в машину заносилась в виде файла показателей, которые были пробиты на перфокартах или записаны на магнитных лентах. Таблица, представленная как файл, имеет следующий вид:

1. 0.91.0063203	1.01.0083203	0.70.9123203	0.80.8202204	1.01.0083203
2. 1.01.0082204	1.01.0132205	0.81.0103203	0.81.0093103	0.81.0113302
3. 1.01.0073203	1.01.0092204	1.01.0083204	1.01.0093203	1.01.0123202
4. 1.01.0073203	1.01.0083203	1.01.0084201	1.01.0073202	1.01.0064202
5. 1.01.0062203	1.01.0083203	1.01.0073203	1.01.0053203	1.01.0093202
6. 0.91.0052203	0.91.0052203	1.01.0063204	0.81.0053203	1.01.0062202
7. 1.01.0073203	1.01.0062302	1.01.0072202	1.01.0063202	1.01.0043202
8. 1.01.0062203	1.01.0053201	1.01.0041203	1.01.0053303	1.01.0063202
9. 1.01.0073204	1.01.0052203	1.01.0071203	1.01.0043201	1.01.0053203
10. 1.01.0052203	1.01.0043204	1.01.0031204	1.01.0043204	1.01.0033204

Блоки в файлах состоят из следующих записей:

1. номер крыс; 2. дни опыта; 3. количество крыс в группе; 4. номер для опыта; 5. частота реакций; 6. латентный период условной реакции.

В первой записи приводится очередность номера группы крыс. Значение записи – двузначное натуральное число. В записи "дни опыта" приводится количество дней опыта, значение поля – натуральное число. Третья запись отведена для указания количества крыс в группе. Значение записи – двузначное натуральное число. Четвертая запись отведена для указания номера дня наблюдения. Значение записи – натуральное число от единицы до дня опыта. Пятая запись отведена для указания частоты реакции животного. Значение записи зависит от количества крыс в группе и количества дней опыта. Шестая запись отведена для указания латентного периода реакции. Значение записи зависит от количества крыс в группе и количества дней опытов.

Для вычисления этих формул была создана программа NaI на алгоритмическом языке ФОРТРАН. Вычисления проводились на БЭСМ-6.

Задача состоит в том, что из множества показателей поведения необходимо выдать на печать (в определенном формате, в таблицах) результаты по данным экспериментальных показателей в таком порядке, в каком их значения вычисляются вышеприведенными формулами.

Программа NaI использует следующие переменные: NA – счетчик группы крыс; NOM – целое число, характеризующее номер группы крыс; ID – целое число,




Рис.1 Блок-схема подпрограммы SUM

характеризующее дни опыта; M – целое число, характеризующее количество крыс в группе; N – массив, содержащий номер дни опыта; $ANUR$ – массив, характеризующий относительную частоту реакции избегания; $ANBR$ – массив, характеризующий относительную частоту реакции избавления; $INMR$ – массив, характеризующий абсолютную




Рис. 2 Блок-схема обработки экспериментальных результатов.

частоту межсигнальной реакции; $ITUR$ – массив, характеризующий латентный период реакции избегания; $ITBR$ – массив, характеризующий латентный период реакции избавления; $ITMR$ – массив, характеризующий латентный период межсигнальной реакции.

Для вычисления среднего значения исходных данных используется подпрограмма SUM, блок-схема которой дана на рис.1.

Обращение к подпрограмме SUM имеет вид:

CALL SUM (AL, ANUR, M, I, CNUR), где AL – число наблюдений; ANUR – частота условной реакции; M – количество крыс в группе; I – номер для наблюдения; CNUR – относительная частота условной реакции.

Ввод исходных данных и вывод результатов вычислений осуществляется программой NA1, блок-схема работы которой дана на рис.2.

Программа Na1, объединяя подпрограммы SUM, выполняет следующие функции:

1. Очистка счетчика NA и увеличение на 2; 2. Ввод NOM, ID, M, N; 3. Сравнение NOM с числом 40; 4. Ввод ANUR, ITUR; 5. Обращение к подпрограмме SUM; 6. Печать NOM; 7. Печать ANUR, ITUR, N, T1; 8. Печать CNUR, CTUR; 9. Сравнение NA с числом 140; 10. Ввод ANUR, ANBR, ITUR, INMR, ITBR, ITMR; 11. Присвоение переменным ANMR, ATUR, ATBR, ATMR, ITMR значений следующих переменных соответственно INMR, ITUR, ITBR; 12. Обращение к подпрограмме сумм SUM; 13. Вывод NOM; 14. Вывод CNUR, CNBR, CNMR, CTUR, CTBR, CTMR.

Результаты экспериментов после машинной обработки выдаются на

Таблица 3

Динамика формирования оборонительных навыков

Дни опыта	Частота реакций			Латентный период в с		
	В.Р.	Б.Р.	М.Р.	У.Р.	Б.Р.	М.Р.
1	0,01	0,33	2,85	0,00	3,69	8,92
2	0,00	0,50	3,92	0,00	3,92	6,46
3	0,10	0,50	8,46	5,31	3,54	6,62
4	0,20	0,85	7,31	5,46	2,77	5,31
5	0,50	0,97	8,15	4,77	3,54	3,92
6	0,60	1,00	10,38	3,38	2,00	4,62
7	0,70	1,00	9,62	3,54	2,00	5,62
8	0,70	1,00	10,85	3,46	2,23	4,85
9	0,80	1,00	10,00	3,54	2,00	4,15
10	0,90	1,00	12,31	3,23	2,00	4,62
11	1,00	1,00	11,00	3,31	2,00	4,62
12	1,00	1,00	9,31	3,23	2,00	4,31
13	0,99	1,00	8,08	3,77	2,00	3,46
14	0,99	1,00	9,31	2,92	1,92	3,00
15	1,00	1,00	5,15	2,92	2,00	3,46
16	0,99	1,00	4,36	3,08	2,00	3,08
17	0,99	1,00	5,08	3,08	2,00	3,23
18	1,00	1,00	4,08	3,15	2,00	3,77
19	0,99	1,00	3,23	3,08	2,00	3,62
20	0,98	1,00	4,23	3,15	2,00	3,31

Таблица 4

Динамика формирования пицедобывательных навыков

Дни опыта	Частота условной реакции	Латентный период условной реакции в с
1	0,20	41,181
2	0,20	41,551
3	0,20	26,73
4	0,20	25,64
5	0,37	20,55
6	0,31	15,09
7	0,72	10,64
8	0,68	9,82
9	1,00	6,82
10	1,00	6,27
11	1,00	5,00

АЦПУ в виде таблиц (табл.3 и 4).

Подпрограммы, приведенные в этой работе для характеристики пицедобывательных и оборонительных навыков, могут

быть применены для вычисления параметров любого нейрофизиологического эксперимента, в котором исследуется вероятность появления тех или иных реакций со своими латентными периодами.

ლიტერატურა—ЛИТЕРАТУРА—REFERENCES

1. Я.Буреш, И.Крокуля, Г.Брожек. Применение ЭВМ в нейрофизиологических исследованиях, "Наука", Ленинград, 1984.
2. С.Н.Цагарели. Ж. высш. нервн. деят., 27, 4, 808, 1977.

ექსპერიმენტული შედეგების მანქანური დამუშავება ცხოველებში საკვებმოკვებითი და თავდაცვითი ჩვევების გამოვლენასა და შენახვის შემთხვევაში

ს.ცაგარელი, ნ.ჯღარკავა

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რ ე ზ ი უ მ ე

აღწერილია ცხოველთა ქცევითი მახასიათებლების რაოდენობითი პარამეტრების მანქანური შენახვისა და მოძებნის ალგორითმები. ალგორითმი საშუალებას იძლევა დამუშავდეს დიდი ინფორმაცია ინდივიდუალურად ყველა ცხოველისათვის და მათი გასაშუალებული პარამეტრები. ალგორითმი შექმნილია ფორტრანის ენაზე.

THE MACHINE PROCESSING OF EXPERIMENTAL RESULTS OF THE FORMATION AND MAINTENANCE OF AVOIDING AND FEEDING HABITS

S. Tsagareli, N. Jgarkava

I. Javakhishvili Tbilisi State University

Summary

The algorithm for quantitative characteristics of animal behavioral reactions intended for the storage and search of information has been described. The algorithm enables us to treat a great information mechanically and is fulfilled on the FORTRAN language.

შპს 616.127-002.022:578.835.17

მორფოლოგია

ვირუსული მიოკარდიტის და დილატაციური კარდიომიოპათიის ურთიერთკავშირის კლინიკურ-მორფოლოგიური მონაცემები

ნ. ყიფშიძე, მ. ჯაფარიძე

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თერაპიის ინსტიტუტი, თბილისი

შემოსულია რედაქციაში 16.12.1991

ვირუსული მიოკარდიტის (ვმ) და დილატაციური კარდიომიოპათიის (დკმ) ურთიერთდამოკიდებულების შესახებ მორფოლოგიური სურათი გამოიხატა 42 ავადმყოფიდან 17 პაციენტში. ყველა ჩვენს მიერ განხილულ შემთხვევაში ბიოპტატების მორფოლოგიურმა სურათმა მოგვცა საშუალება ჩავვეთვალა, რომ დკმ წარმოადგენდა გადატანილი ვმ შედეგს.

ვირუსული მიოკარდიტის და დილატაციური კარდიომიოპათიის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემა ერთ-ერთი აქტუალურია კარდიოლოგიაში. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ექსპერტთა კომიტეტის დასკვნის თანახმად დკმ განიხილება როგორც უცნობი ეტიოლოგიის დაავადება [4]. სულ უფრო და უფრო მეტი მონაცემებია ლიტერატურაში დკმ კავშირზე ინფექციურ, უპირატესად კი ვმ-თან [1,5,6]. მისი წარმოშობის ვირუსულ-იმუნოლოგიური კონცეპცია მტკიცდება უახლესი მონაცემებით [1,2] და მიანიჭა აზრი ვმ და დკმ შორის უშუალო კავშირზე საკამათოა, ეფუძნება დაკვირვებებისა და გამოკვლევების მცირე რაოდენობას და საჭიროებს შემდგომ დამტკიცებას.


მასალა და მეთოდები

შესწავლილია 42 ავადმყოფი (ავ-ი) დკმ დიაგნოზით. დკმ დიაგნოზი ისმებოდა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის კრიტერიუმების მიხედვით (1983 წ.) 6 შემთხვევაში დიაგნოზის ვერიფიცირება მოხდა გვამის გაკვეთის შედეგად. ყველა ავ-ს ანგიოკარდიოგრაფიული გამოკვლევების ფონზე ჩაუტარდა ენდომიოკარდიული ბიოფსია (ვმბ) მარჯვენა, მარცხენა პარაკუქიდან და პარაკუქთაშორისი ძგიდიდან ფირმა "Olympus" (იაპონია) ან "Cordis" (აშშ) ბიოტომით. ყველა შემთხვევაში იღებოდა 2-3 ბიოპტატი ზომით 1,1 მმ²-დან 4,2 მმ². მასალა მუშავდებოდა გლუტარალდეჰიდის 2,5% ხსნარში, ფიქსირდებოდა ოსმიუმის ოთხჯანგში და ყალიბდებოდა არალდიტში. სინათლის მიკროსკოპიისათვის მზადდებოდა ნახევრად თხელი ანათლები, რომლებიც იღებებოდა ჰემატოქსილინ-ფოზინით, ხოლო ელექტრონულ-მიკროსკოპიისათვის მზადდებოდა თხელი ანათლები, რომლებიც იღებებოდა ურანილაცეტატითა და ტყვიის ციტრატით. მასალას ვნახულობდით ელექტრონული მიკროსკოპით JEM-100 Cx.

ემ და დკმ ურთიერთდამოკიდებულების შესაძლო მორფოლოგიური გამოიხატა 17 ავ-ში. მათ შორის იყო 16 მამაკაცი და 1 ქალი, ასაკით 16-დან 49 წლამდე (საშუალოდ 35,9 წ.).

ჰოსპიტალიზაციის დროს დკმ დაავადებულ პირებში აღინიშნებოდა გულის ქრონიკული უკმარისობის (გქუ) ნიშნები გლანგის, ნსტრატეკოს და ვ.ვასილენკოს კლასიფიკაციის მიხედვით (1935 წ.) 1 ავ-ს აღინიშნებოდა I სტადიის, 6 - II^ა სტადიის, 7 - II^ბ სტადიის, 3 - III სტადიის გქუ.

უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ 7 ავ-ის ჰოსპიტალიზაცია იყო პირველადი, (დანარჩენი ავ-ბის ჰოსპიტალიზაცია და მკურნალობა იყო არაერთჯერადი და არა პირველადი). მორფოლოგიური გამოკვლევების ჩატარებამდე ავ-ებს დასმული ჰქონდათ ინფექციურ-ალერგიული მიოკარდიტის, ან დკმ დიაგნოზი. ავ-ის საშუალო ასაკი უდრიდა 30,2±2,0 წელს. გადატანილი ინფექცია აღინიშნებოდა 14 ავ-ში. მათგან სეროლოგიური გამოკვლევები ჩაუტარდა 8 ავ-ს. საშუალო ასაკი უდრიდა 33,3±2,5 წელს. 3 ავ-მა ანამნეზში გადატანილი ინფექცია უარჰყო. დრო ინფექციის გადატანიდან დაავადების პირველი სიმპტომების გამოვლენამდე მერყეობდა 1,5 თვიდან 3 წლამდე, საშუალოდ 26,5 თვე. საშუალო ასაკი გქუ გამოვლენისას იყო 32,7±3,0 წელი. თრომბოემბოლიურმა გართულებამ შეადგინა 27,5%.



სურ. 1. პოსტმიოკარდიტული დილატაციური კარდიომიოპათიის ავადმყოფების ჰისტოპათოლოგია: ა - კმც არასწორი ჰიპერტროფია, მათი ფორმის ცვალებადობა, დიფუზური ინტერსტიული სკლეროზი (შეღებვა ჰემატოქსილინ-ეოზინით. x400); ბ - მოზრდილი კმც, პრაქტიკულად კუმშვადი ელემენტების არ არსებობა (შეღებვა ჰემატოქსილინ-ეოზინით. x800); გ - მიოკარდიუმის ინტერსტიციუმში მაკროფაგალური უჯრედების გროვები (შეღებვა ჰემატოქსილინ-ეოზინით. x800); დ - შენაცვლებითი სკლეროზი დაღუპულ კმც-ს ადგილას (შეღებვა ჰემატოქსილინ-ეოზინით. x800)

ბიოპტატების სინათლისა და ელექტრონულ-მიკროსკოპიულმა შესწავლამ გვიჩვენა ყველა 17 შემთხვევაში პრაქტიკულად იდენტური სურათი. ენდოკარდი იყო გასქელებული და სკლეროზირებული, ზოგიერთ შემთხვევაში მის სიღრმეში ჩანდა შენიღბული ფიბრინი, ადგილი ჰქონდა კედელზე ამყოლ თრომბს. აღინიშნებოდა კარდიომიოციტების (კმც) ჰიპერტროფია, მათი ფორმის ცვალებადობა, დატოტიანობა (სურ. 1ა). კმც-ს ბირთვები იყო ჰიპერტროფირებული, ნაწილი უჭრედებისა ჰიპერქრომული, მრავლობითი ღრმა ინვაგინაციით. ნაწილ კმც-ს აღინიშნებოდა ბირთვების პიკნოზი, კარიოლიზისი, სარკოლაზმის ვაკუოლიზაცია, მიოფიბრილების ლიზისი, გვხვდებოდა დიდი ზომის კმც, რომლებშიც მიოფიბრილები პრაქტიკულად არ აღინიშნებოდა (სურ. 1ბ). კმც-ს მნიშვნელოვანი ნაწილი იყო დანეკროზებული (სურ. 1ბ). მათი დაღუპვის ადგილას აღინიშნებოდა სკლეროზი. ინტერსტიციუმში ადგილი ჰქონდა სკლეროზის უბნებში მკვეთრ ბაზოფილიას. სისხლძარღვების ირგვლივ ინტერსტიცია იყო შემუშუბული, რაც ელექტრონულ-მიკროსკოპიულად შეესაბამებოდა ბამბისებური ნივთიერების წარმოშობას. უჭრედული ელემენტების რაოდენობა რამდენადმე იყო მომატებული, მაკროფაგების 6-8 უჭრედის რაოდენობით (სურ.1 გ). ლიმფოციტების რაოდენობა არ აღემატებოდა საშუალოდ 5 მხედველობით არეში 400 გადიდების დროს. ინტრამურულ სისხლძარღვებს, ძირითადად არტერიოლებს, ჰქონდათ გაღრმავებული, ჰომოგენიზირებული კედლები და დაეწროებული სინათური (სურ.1 დ).

ბიოპტატების ელექტრონულ-მიკროსკოპიულმა შესწავლამ გამოავლინა ცვლილებები კმც-ის მხრივ. აღინიშნებოდა კმც სარკოლემის დაზიანება და ორგანოების გამოსვლა ინტერსტიციალურ სივრცეში. მიოფიბრილები ხშირად არასწორად იყვნენ ორიენტირებულნი, აღინიშნებოდა ლიზისი. იქცევადა ყურადღებას მნიშვნელოვანი ცვლილებები T-სისტემის მხრივ. ადგილი ჰქონდა მათი სანათურის მკვეთრ გაფართოებას (კმც სიღრმეში შეღწევადობით, თითქმის კმც ბირთვებამდე - სურ. 2ა). სარკოლაზმური რეტიკულუმის არხები იყო გაფართოებული, ვხვდებოდით გიგანტურ ვაკუოლს, ამოვსებულს გლიკოგენით (სურ. 2ბ). აღინიშნებოდა კმც-ს ჩართულ დისკებს შორის კონტაქტების დარღვევა (სურ. 2ბ). პრაქტიკულად ყველა შემთხვევაში კმც-ში ადგილი ჰქონდა ლიზოსომების, პიგმენტური ლიპოფუსცინის დაგროვებას და უმნიშვნელო ლიპიდურ ინფილტრაციას.



სურ. 2. პოსტმიოკარდიტული დილატაციური კარდიომიოპათიის ავადმყოფების კარდიომიოციტების ულტრასტრუქტურული ცვლილებები: ა - კმც-ის საზღვრებს გარეთ გამოსვლა. x7000; ბ - T-სისტემის არხების მკვეთრი გაფართოება. x 18000

ინტერსტიციუმში, რომელიც სინათლის მიკროსკოპით შეესაბამებოდა მკვეთრ ბაზოფილიას, ვნახულობდით ნაზ ელასტიურ ბოჭკოებს. კაპილარების კედლები იყო გაქვნილი პლაზმური ცილებით და გამოიყურებოდნენ მკვეთრად ოსმიოფილურად. ელასტიკურ და კოლაგენურ ბოჭკოებში ისაზღვრებოდა კმც დენდრიტი.

ჩვენს მიერ განხილულ ყველა შემთხვევაში ბიოპტატების მორფოლოგიურმა სურათმა მოგვცა საშუალება ჩაგვეთვალა, რომ დკმპ წარმოადგენს გადატანილ ვმ-ის შედეგს. უფლება მოსილი ვართ თუ არა გამოვხატოთ ეს აზრი დანამდვილებით ყველა შემთხვევაში? ადგილი ჰქონდა ცვლილებებს, რომლებიც გვხვდება როგორც დკმპ, ასევე ვმ-ის დროს, რაც გამოიხატება ჰიპერტროფიით, ინტერსტიციის დიფუზური სკლეროზით, ენდოკარდიუმის გასქელებით, კედლის ამჟღავნებელი თრომბოზით. ამის გამო ინტერსტიციუმში უჭრედული ელემენტების გამო ადგილი ჰქონდა კმც-ის დესტრუქციულ ცვლილებებს, მათ ნეკროზს და სკლეროზულ ცვლილებებს დაღუპული კმც-ის ადგილას. ავადმყოფობის ანთებით გენეზზე მიუთითებდა ცილების გამოსვლა კაპილარების გარეთ და მათი კედლების გაჭირვება პლაზმატური ენდოთელიოციტებით. მაგრამ უჭრედული რეაქცია არ იძლეოდა საშუალებას დაგვემტკიცებინა ანთებითი პროცესის არსებობა მიოკარდიუმში.

ლიტერატურა—ЛИТЕРАТУРА—REFERENCES

1. *Кишшидзе Н.Н., Чумбуридзе В.Б.* Кардиомиопатии, "Сабчота Сакартველო", Тбилиси, 1990.
2. *Мухарлямов Н.М.* Дилатационная кардиомиопатия, "Медицина", М, 1990.
3. *Новиков Ю.И.* Неревматические миокардиты и дилатационные кардиомиопатии, Автореф. докт.дисс., М., 1988.
4. Кардиопатии, Доклад ВОЗ, Женева, 1990.
5. *Bolt H.* (ed) *Viral Heart Disease*, Springer, Berlin, 1984.
6. *Robinson G.A., O Connel G.B.* Myocarditis: Precursor of Cardiomyopathy, Toronto, 1983.

КЛИНИКО-МОРФОЛОГИЧЕСКАЯ ВЗАИМОСВЯЗЬ ВИРУСНОГО МИОКАРДИТА И ДИЛАТАЦИОННОЙ КАРДИОМИОПАТИИ

Н.Н.Кишшидзе, М.М.Джапаридзе

Институт экспериментальной и клинической терапии МЗ Грузии, Тбилиси

Резюме

Возможная морфологическая картина взаимосвязи вирусного миокардита (ВМ) и дилатационной кардиомиопатии (ДКМП) наблюдалась у 17 больных. Во всех исследованных случаях морфологическая картина биоптатов позволила считать ДКМП следствием перенесенного ВМ (при этом во всех случаях наблюдались изменения, встречаемые при ВМ).

CLINICAL-MORPHOLOGICAL CORRELATION BETWEEN THE VIRAL MYOCARDITIS AND DILATATIONAL CARDIOMYOPATHY

N. Kipshidze, M. Japaridze

Institute of Therapy, Ministry of Health of the Republic of Georgia, Tbilisi

Summary

Probable morphological correlation between the viral myocarditis (VMC) and dilatational cardiomyopathy (DCP) has been observed in 17 patients. In all the investigated cases morphological pattern of the bioplates allows to consider that DCP is a result of the earlier VMC (Every observed alteration was similar to those, which occur in VMC).

20330

საქართველოს
ბიბლიოთეკა



შპა 615.468.6

პათოლოგიური ანატომია

**ქოვილოვანი რეაქციის თავისებურება ახალ ანტიმიკრობულ
სინთეზურ საკარ მასალაზე კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ორგანოებში**

თ.ჩხიკვაძე, ზ.ქანტურაია, ნ.ზარნაძე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

შემოსულია რედაქციაში 28.02.1991

ახალი ანტიმიკრობული სინთეზური გაწოვადი ქირურგიული საკერი მასალა გამოყენებული იყო ცხოველებზე ექსპერიმენტების სერიაში კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ორგანოებიდან მათი გაწოვისა და ქსოვილებში მიმდინარე რეპარაციული პროცესების დინამიკის შესასწავლად. გასტრო-ენტერო, ენტერო-ენტერო და მსხვილ ნაწლავთა ანასტომოზების უბნების მორფოლოგიური შესწავლით დადგინდა, რომ აღნიშნული ტიპის საკერი მასალის გაწოვა მრავალეტაპიანი პროცესია, შერთულის შეხორცება ხდება პირველადი დაქიმივით. ახალი ანტიმიკრობული სინთეზური გაწოვადი საკერი მასალის გამოყენება კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ორგანოების შერთულთა შექმნისას უზრუნველყოფს ქირურგიული ჩარევის შემდგომ ქსოვილებში მიმდინარე რეპარაციული პროცესების ნორმალიზაციის ოპტიმალურ (ხელშემწყობ) პირობებს.


ქირურგიული ოპერაციის დადებითი შედეგის განმაპირობებელ ფაქტორთაგან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ოპერაციის დროს გამოყენებული ქირურგიული საკერი მასალა. მისი სრულყოფის პრობლემა დღესაც ფრიად აქტუალურია, რადგანაც არ არსებობს "უწყლო" ქირურგიული საკერი ძაფები. ქირურგიულ პრაქტიკაში გამოყენებულ საკერ მასალათა უმრავლესობა გაუწოვადია და ქრილობის შეხორცების შემდეგ ქსოვილებში უცხო სხეულად რჩება. ეს თვისება განსაკუთრებით საგრძნობია კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ქირურგიაში, რადგანაც ე.წ. "კუჭის ნაკერისეული დაავადების", ნაკერის ხაზის ულცერაციისა და შერთულის ნაწიბუროვანი დეფორმაციის ან სტენოზის უმთავრესი მიზეზია [5, 7, 11, 15]; ამის გამო კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ქირურგიაში უპირატესობა უნდა ენიჭებოდეს გაწოვად ქირურგიულ საკერ მასალებს, რომელთაგანაც ქირურგიაში ფართოდაა გავრცელებული კეტგუტი, მაგრამ მას რამდენიმე ძალზე მნიშვნელოვანი უარყოფითი თვისება გააჩნია: ცხოველური წარმოშობის გამო იგი ძლიერ რეაქტიულია, ზოგჯერ — ალერგიულიც, აქვს დაბალი საწყისი მექანიკური სიმტკიცე და სწრაფად კარგავს უკანასკნელს იმპლანტაციისას, ძნელია მისი გასტერილება და სხვ. უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე მსოფლიოში ფართოდ დაინერგა სინთეზური გაწოვადი ქირურგიული საკერი მასალები: დექსონი (პოლიგლიკოლის მჟავა), ვიკრილი (პოლიგლუტინ-910), პოლიდიოქსანონი და მაქსონი (პოლიტრიმეთილენკარბონატი) [9, 12, 13, 14]. ყოფილ სსრკ-ში უკანასკნელ წლებში ბაშბის ცელულოზის საფუძველზე შექმნილია სინთეზური გაწოვადი ქირურგიული საკერი მასალები: ოქცელონი, კაცელონი და რიმინი. პირველი ორის უპირატესობაა ქსოვილებში ინერტულობა, მესამე აქტიურად ასტიმულირებს ქრილობების შეხორცებას [1, 2, 4].

კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს ქრილობაში მიმდინარე რეპარაციულ პროცესებზე და კუქ-ნაწლავის ტრაქტის ქირურგიაში მძიმე გართულებად გვევლინება, არის ქრილობის ინფიცირება [8]. მასთან ბრძოლის ერთ-ერთ პერსპექტიულ მეთოდად უნდა ჩაითვალოს ანტიმიკრობული ქირურგიული საკერი მასალების შექმნა და გამოყენება. საკერი დაფებისთვის ანტიმიკრობული თვისებების მინიჭების ყველაზე მარტივი მეთოდია მათი იმპრეგნაცია ანტისეპტიკური ნივთიერებებით ან ანტიბიოტიკებით [3], მაგრამ ამ მეთოდმა გავრცელება ვერ პოვა. ზოგიერთი ავტორის მონაცემით, დექსონისა და ვიკრილის დაშლის პროდუქტებს გააჩნიათ ანტიმიკრობული აქტიურობა [6, 10, 16]. ჩვენსა და სამკურნალო საშუალებათა ქიმიის და ტექნოლოგიის საკავშირო ს/კ ინსტიტუტის მიერ მონოკარბოქსილცელულოზის სტრუქტურაში ანტიმიკრობული აქტიურობის მქონე ლიგანდების ჩართვით შექმნილია და ექსპერიმენტულ-კლინიკურ შესწავლას გადის ახალი ანტიმიკრობული სინთეზური გაწოვადი ქირურგიული საკერი მასალა, რომელიც გამოყენებული იყო ექსპერიმენტების სერიაში ცხოველებზე კუქ-ნაწლავის ტრაქტის ორგანოებიდან მათი გაწოვისა და ქსოვილებში მიმდინარე რეპარაციული პროცესების დინამიკაზე დასაკვირვებლად.

ექსპერიმენტული მასალა და კვლევის მეთოდები


ექსპერიმენტები ჩატარდა ბოცვრებსა და ზრდასრულ უჯიშო ძაღლებზე 3 სერიად: პირველ სერიაში (8 ძაღლი) ხორციელდებოდა გასტრო-ენტერო შერთულის შექმნა, მეორე სერიაში (10 ძაღლი) – ენტერო-ენტერო შერთული, მესამე სერიაში (20 ბოცვრი) – მსხვილ ნაწლავთა შერთული. ოპერაციები ტარდებოდა შუა ლაპაროტომიით ნატრიუმის თიოპენტალით ზოგადი ანესთეზიისას. გამოყენებული იყო მონოკარბოქსილცელულოზა სტრუქტურაში ჩართული ანტიმიკრობული ლიგანდით. შერთულის მიდამოს ჰისტოლოგიური შესწავლა ხდებოდა ოპერაციიდან მე-7, 14, 21, 35, 60, 120 და 180 დღეს. ცხოველთა ევტანაციას ვაწარმოებდით ჰექსენალის დიდი დოზების შეყვანით. ანასტომოზის უბნიდან აღებულ მასალას ვაფიქსირებდით 10%-იან ნეიტრალური ფორმალინის ხსნარში, ვაყალიბებდით პარაფინში და 5 მკმ სისქის მიკროანათლებს ვღებავდით ჰემატოქსილინ-ეოზინითა და პიკროფუქსინით ვან გიზონის წესით.

გამოკვლევის შედეგები და მათი განხილვა




სურ.1. დაფების გაჭირვება და ფილა მენტებად განშრევა, მაკროფაგების პერიფოკალური პროლიფერაცია გასტრო-ენტერალური შერთულიდან აღებულ მასალაში ოპერაციიდან მე-7 დღეს. შედეგა ჰემატოქსილინ-ეოზინით. X 120

შერთულის მიდამოს ჰისტოლოგიური შესწავლით, ოპერაციიდან მე-7 დღისათვის ადგილი ჰქონდა გაკერული ქსოვილების სისხლსავსეობასა და შეშუპებას, ფორმირებული იყო ტიპური შენების გრანულაციური ქსოვილი, დაფები განიცილიდნენ გაჭირვებასა და ცალკეულ ფრაგმენტებად განშრევებას (სურ.1). მათ გარშემო აღინიშნებოდა მაკროფაგური რიგის უჭრედული ელემენტების პროლიფერაცია,



სურ.2. ლიგატურები განიცდიან ფრაგმენტაციასა და მაკროფაგურ რეზორბციას, მათ გარშემო კი ფორმირებულია კოლაგენური ბოჭკოები — მსხვილი ნაწლავიდან აღებულ მასალაში ოპერაციიდან 21-ე დღეს. შეღებვა პიკროფუქსინით ვან-გიზონის მეთოდით. X 80




სურ.3. გაწოვის გიგანტურუჯრედოვანი გრანულომა — ძაფის ცალკეული ფილამენტები რეზორბირებულია მაკროფაგების მიერ მსხვილი ნაწლავის კედლიდან აღებულ მასალაში ოპერაციიდან 35-ე დღეს. შეღებვა ჰემატოქსილინ-ეოზინით. X 120

აღინიშნებოდა ნაკერის პირველი რიგის ჩამოცილება, მეორე რიგის ძაფები დაშლილი იყო ცალკეულ ფრაგმენტებად, რომლებიც გაჭირვებული და ზომაში მომატებული იყო ჰიდროფილობის გაზრდისა და ქსოვილოვანი სითხით გაქლენთვის გამო. ძაფების გარშემო ფორმირდებოდა ნაზი შემაერთებელ ქსოვილოვანი კაფსულა.

ოპერაციიდან 21-ე დღეს აღინიშნებოდა ანასტომოზის უბნის ეპითელიზაცია. ნაკერის პირველი რიგის ლიგატურები არ აღინიშნებოდა, მეორე რიგის ძაფები კი განიცდიდნენ ფილამენტებად დანაწილებას, ზოგან კი — გაწოვას გვერდითმდებარე მაკროფაგებით შთანთქმის ხარჯზე. გარშემო ფორმირებული გრანულაციური ქსოვილის საზღვარზე აღინიშნებოდა კონცენტრულად განლაგებული კოლაგენური ბოჭკოები (სურ.2).

35-ე დღისათვის ანასტომოზის უბანში ფორმირდებოდა ლორწოვანი გარსი, რომელიც სიმალლით ირგვლივ მყოფი ნორმალური ლორწოვანი გარსის 2/3-ს უტოლდებოდა. გრანულაციურ ქსოვილში შემცირდა სისხლძარღვებისა და უჯრედოვანი ელემენტების რაოდენობა. ფორმირებული იყო ფუქსინოფილური კოლაგენური ბოჭკოების კონები. წარმოიქმნებოდა ე.წ. "გაწოვის გიგანტურუჯრედოვანი გრანულომები" (სურ.3). ნაკერის მეორე რიგის ცალკეულ ფილამენტებად დანაწევრებული ძაფები მოქცეული იყო შემაერთებელ ქსოვილოვან კაფსულაში და შთანთქმული დიდი ზომის მაკროფაგებით.

ოპერაციიდან მე-60 დღეს ანასტომოზის უბანი წარმოდგენილი იყო ეპითელიზირებული ფიბროზული ქსოვილის სახით. ახლადწარმოქმნილი ეპითელიური ქსოვილი შენებით არ განსხვავდებოდა გვერდითმდებარე ტიპური



სურ.4. რეზორბირებული საკერი მასალის შემცველი მაკროფაგების შევსულობა წვრილი ნაწლავიდან აღებულ პრეპარატში ოპერაციიდან 120-ე დღეს. შეღებვა ჰემატოქსილინ-ეოზინით. X 100

სურ.5. წვრილი ნაწლავის ლორწვეშა შრის ჰისტოლოგიური სტრუქტურის აღდგენა ოპერაციიდან 180-ე დღეს. შეღებვა ჰემატოქსილინ-ეოზინით. X 100

ქსოვილისაგან. კუნთოვან და სეროზულ გარსებში აღინიშნებოდა მაკროფაგების მიერ რეზორბირებული ძაფების ნარჩენები.

ოპერაციიდან 120-ე დღეს შერთულის მიდამოს ლორწოვანი გარსი სტრუქტურულად ტიპური შენებისაა. ლორწვეშა შრეში აღინიშნებოდა ტიპური ფიბროზული ქსოვილი, კუნთოვანსა და სეროზულ შრეებში — მაკროფაგების გროვები, რომლებიც შეიცავენ რუხი ფერის რეზორბირებული საკერი მასალის ფრაგმენტებს (სურ.4).

180-ე დღეს ანასტომოზის მიდამო სხვა უბნებისაგან განსხვავდებოდა ლორწვეშა და კუნთოვან შრეებში არსებული ფიბროზული ქსოვილით, რომელიც არ იწვევს ღრუ ორგანოს სანათურის დეფორმაციას. მომწიფებული შემაერთებელი ქსოვილის სიდრემეში ალაგ-ალაგ აღინიშნება მაკროფაგების კეროვანი მცირერიცხოვანი შევსულობა, რომელთა ციტოპლაზმაც შეიცავს რუხი ფერის ფრაგმენტებს (სურ.5).

ამრიგად, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ღრუ ორგანოების ანასტომოზების ჰისტოლოგიური შესწავლა ადასტურებს, რომ ანტიმიკრობული სინთეზური გაწოვადი საკერი მასალის გაწოვა ქსოვილებიდან წარმოადგენს მრავალეტაპიან პროცესს: თავდაპირველად ანასტომოზის უბანში წარმოიქმნება ტიპური შენების გრანულაციური ქსოვილი, აღინიშნება მაკროფაგური რიგის ელემენტებით ინფილტრაცია-პროლიფერაცია, საკერი მასალის ფილამენტების გაჯირკვება და ქსოვილოვანი სითხით გაქდნობა; მეორე კვირის ბოლოსათვის ნაკერის პირველი რიგის ჩამოცილება; მესამე კვირის ბოლოსათვის ლორწვეშა და სეროზულ-კუნთოვან შრეებში ადგილი აქვს ძაფის ჰომოგენიზაციას და მაკროფაგურ რეზორბციას შემაერთებელქსოვილოვან კაფსულიანი გიგანტურუჯრედოვანი გრანულომების ჩამოყალიბებით. ნაკერის არხებში ძაფების სრული ჩანაცვლება მაკროფაგებითა და ტიპური ქსოვილოვანი შენების ლორწოვანი გარსის ჩამოყალიბება ხდება ოპერაციული ჩარევიდან 120-ე დღისათვის, ხოლო ნაკერის

არხების ნაწიბუროვანი ქსოვილით ამოვსება მთავრდება 180-ე დღისათვის/ ჩატარებული გამოკვლევები საფუძველს იძლევა, რეკომენდაცია გაეცეს აღნიშნული ტიპის ანტიმიკრობული სინთეზური გაწოვადი ქირურგიული საკერი მასალის კლინიკაში ფართოდ გამოყენებას.

ლიტერატურა—ЛИТЕРАТУРА—REFERENCES

1. Бегалиев У., Арустамов Д.Л., Шамирзаев Н.Х. Мед. журн. Узбекистана, 10, 38-41, 1982.
2. Калнберз В.К. Кузьмина И.В., Домбровска Л.Э., Амелин А.З., Слуцкий Л.И. Вестник хирургии, 11, 130-133, 1988.
3. Фурманов Ю.А., Горшевикова Э.В., Адамян А.А., Винокурова Т.И., Цетлин Б.Л., Власов А.В., Плоткин Л.Л., Силькис У.М., Мошковский Г.Ю. Клин. хирургия, 3, 25-27, 1985.
4. Шалимов А.А., Гоер Я.В., Фурманов Ю.А., Сильченко В.П., Малюга В.Г., Макаров С.А., Соломко А.В. Клин. хирургия, 1, 1-5, 1981.
5. Dell'Anna B., Chirarduzzi A. Chir. Italiana, 34, 6, 919-926, 1982.
6. Edlich R.F., Panek P.H., Rodeheaver., Turnbuel V.G., Kertz L.D., Ergerton M.T. Annals of Surg., 177, 679-688, 1973.
7. Halvorsen I.F., Solhaug I.H., Semb B.K.H. Acta Chir. Scandinavica, 141, 3, 149-152, 1975.
8. Hesp W., Hendrika J., Lubbers E., de Boer H. Diseases of Colon and Rectum., 27, 2, 99-104, 1984.
9. Katz A.R., Mukherjee O.P., Kaganov A.L., Gordon S. Surg., Gynec., Obst., 161, 3, 213-222, 1985.
10. Lünstedt B., Thiede A. Zentralblatt für chir., 1983, 108, 8, 470-477, 1983.
11. Mokros W., Ebermann W. Das Deutsche Gesundheits. Wesen., 1976, 31, 4, 169-172, 1976.
12. Postlethwait R.W., Smith B.M. Surg., Gynec., Obst., 140, 3, 377-380, 1975.
13. Postlethwait R.W. Arch. of surg., 101, 4, 389-496, 1970.
14. Ray J.A., Doddi N., Regula D., Williams I.A. Surg., Gynec., Obst., 153, 4, 497-507.
15. Spisni R., Conte M., Nervi M., Ciampalini G., Luciani L., Lijoi C. Minerva chir., 43, 3, 201-204, 1988.
16. Zederfeldt B. European Surgical Research, 15, 2, 57-58, 1983.

ОСОБЕННОСТИ ТКАНЕВОЙ РЕАКЦИИ НА НОВЫЙ АНТИМИКРОБНЫЙ ШОВНЫЙ МАТЕРИАЛ В ОРГАНАХ ЖЕЛУДОЧНО-КИШЕЧНОГО ТРАКТА

Т.Ф.Чхиквадзе, З.Н.Чантурая, Н.К.Зарнадзе

Тбилисский государственный медицинский университет

Резюме

Новый антимикробный синтетический хирургический шовный материал применен в экспериментах на животных для изучения

динамики его рассасывания и тканевых репаративных процессов в органах желудочно-кишечного тракта. Морфологические исследования препаратов, взятых из областей гастро-энтеральных, энтеро-энтеральных и толстокишечных анастомозов спустя 7, 14, 21, 35, 60, 120, 180 суток после операции, показали, что рассасывание вышеуказанного шовного материала из тканей является многоэтапным процессом, а заживление раны происходит по типу первичного натяжения. Сперва в области анастомоза формируется грануляционная ткань типичного строения, наблюдается набухание и расслоение нитей, пролиферация макрофагов, в конце второй недели - удаление первого ряда шва. В конце третьей недели происходит гомогенизация шовного материала и его резорбция макрофагами в подслизистом и серомускулярном слоях с образованием "гигантоклеточных гранул рассасывания". Формирование слизистого слоя типичного строения заканчивается к 120 дню эксперимента.

TISSUE REACTION OF GASTRO-INTESTINAL TRACT ORGANS TO NEW ANTIMICROBIAL SYNTHETIC SUTURE MATERIAL

T.Chkhikvadze, Z.Chanturaia, N.Zarnadze

Tbilisi State Medical University

Summary

